სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/121

ქ. თბილისი 26 სექტემბერი 2022 წ.

დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის
საბოლოო შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კომისიის თავმჯდომარის, ბატონ გიორგი სალუქვაძის 2022 წლის 23 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 26 სექტემბრის №01-05-02/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-04/99 დადგენილების შესაბამისად აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საბოლოო შედეგები (იხ. დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**